230908
ი.ფოცხიშვილი
83-1-84 (50)

პროექტი

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება

„მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციების შემადგენლობის შექმნის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2008 წლის 15 ივლისის №209-რს დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. „მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციების შემადგენლობის შექმნის შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწილი **III**, №106, 28.07.2008 წელი, მუხ.1182) საქართველოს პარლამენტის 2008 წლის 15 ივლისის №209-რს დადგენილებით შექმნილი მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციების შემადგენლობაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ძირითადი შემადგენლობა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ძირითადი შემადგენლობა:

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ – 4 წევრი

1. ცისკარიშვილი პეტრე (დელეგაციის ხელმძღვანელი)
2. გაბაშვილი გიორგი (დელეგაციის ხელმძღვანელის მოადგილე)
3. ჟვანია ლაშა
4. თაქთაქიშვილი ჩიორა

ფრაქცია „ძლიერი საქართველო – ქრისტიან-დემოკრატები“ – 1 წევრი

5. თარგამაძე გიორგი.“;

ბ) ევროკავშირის (საქართველო-ევროკავშირის საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტის) საპარლამენტო დელეგაციის სათადარიგო შემადგენლობაში გოგუაძე გიორგის ნაცვლად შეყვანილ იქნეს ბობოხიძე აკაკი;

გ) შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეის **(PABSEC)** საპარლამენტო დელეგაციის სათადარიგო შემადგენლობაში ბობოხიძე აკაკის ნაცვლად შეყვანილ იქნეს გოგუაძე გიორგი;

დ) საპარლამენტთაშორისო კავშირის **(IPU)** საპარლამენტო დელეგაციის ძირითად შემადგენლობაში მელაძე გიორგის ნაცვლად შეყვანილ იქნეს გოგორიშვილი ხათუნა, ხოლო სათადარიგო შემადგენლობაში გოგორიშვილი ხათუნას ნაცვლად შეყვანილ იქნეს მელაძე გიორგი;

ე) დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაციის (სუამ-ი) საპარლამენტო დელეგაციის ძირითად შემადგენლობაში კვერნაძე ელდარის ნაცვლად შეყვანილ იქნეს ხურციძე ბეჟანი.

2. ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე დავით ბაქრაძე

თბილისი,
2008 წლის ... სექტემბერი.